საფაკულტეტო კონფერენციის ჩატარების წესი

სამეცნიერო კონფერენცია განიმარტება როგორც სხვადასხვა დაწესებულების, მიმართულებების, ქვეყნების მეცნიერების დიდი შეკრება.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სახელით მოწვეული სამეცნიერო კონფერენცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

1. წარმოადგენდეს ფაკულტეტის ორ ან მეტ მიმართულებას, ან ფაკულტეტის ერთ მიმართულებას და/ან თსუ სხვა ფაკულტეტს, სხვა ორგანიზაციას;

2. მონაწილეთა რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 15–ის.

კონფერენციის ორგანიზატორებმა უნდა შემოიტანონ განაცხადი ფაკულტეტის დეკანის სახელზე კონფერენციის სავარაუდო თარიღიდან ორი თვით ადრე. განაცხადი უნდა შემოიტანოს ფაკულტეტის პროფესორმა.

განაცხადში მითითებული უნდა იყოს:

1. კონფერენციის თემა;

2. კონფერენციის ორგანიზატორ(ებ)ი;

3. ჟიურის შემადგენლობა (არანაკლებ 3 პროფესორისა);

4. ჩატარების სავარაუდო თარიღი;

4. კონფერენციის ორგანიზაციის პირობები, რომელთა შესრულება მოითხოვს ფაკულტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობას (აუდიტორიის გამოყოფა, სერთიფიკატის დაბეჭდვა და ა.შ.)

ინფორმაცია კონფერენციის ჩატარების თაობაზე უნდა განთავსდეს ფაკულტეტის ვებ–გვერდზე, მასში უნდა იყოს მითითებული:

1. კონფერენციის თემა;

2. კონფერენციის ორგანიზატორ(ებ)ი;

3. ჩატარების ადგილი და თარიღი;

4. მონაწილეობის მსურველთა მიერ განაცხადის შემოტანის პირობები: აბსტრაქტის (მოცულობა და ფორმატი), აბსტრაქტის გაგზავნის ბოლო თარიღი; აბსტრაქტის შერჩევისა და/ან კონფერენციის მონაწილეთა მოხსენების შეფასების კრიტერიუმები.